

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

11 მარტი 2021 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგობერიძე, თენგიზ დვალიშვილი, ამირან ტალახაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*დანართი N1*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

**მოწვეული პირი:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე მამფორია.

ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: მიხეილ სვანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა ანგარიში 2020 წლის სოციალური პროგრამების შესახებ.

ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დამტკიცებული იყო 14 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 708600 ლარი. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მოზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 43 ბრძანება. საბიუჯეტო სახსრები, პროგრამების მიხედვით განაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე. (პროგრამების ჩამონათვალი ოქმს თან ერთვის)

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1812 ბენეფიციარს, თანხით 691775.91 ლარი, ნაშთი 16824.09 ლარი, საკასო შესრულება 97.63%.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ და საახალწლოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 62 ბენეფიციარს.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიამ მოიწონა მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე